

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოწილის ქ 34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	<b>ეკოლოგია</b> აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	<b>ეკოლოგიის მაგისტრი</b>
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	120 ECTS კრედიტი: ზოგადი კურსები 30 ECTS, სპეციალიზაციის სავალდებულო კურსები 50 ECTS, სამაგისტრო ნაშრომი 30 ECTS, თავისუფალი არჩევითი კურსები 10 ECTS
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მოამზადოს ეკოლოგიის მაგისტრი გამოყენებითი ეკოლოგიის და გარემოს დაცვის სპეციალიზაციით, რომელსაც ექნება დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა გარემოზე ბუნებრივი კატასტროფების, გლობალური დათბობის და ანთროპოგენური ზემოქმედების უარყოფითი შედეგების შესახებ, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის თანამედროვე მდგომარეობის, გარემოს მდგრად განვითარებაზე არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედების შედეგების პროგნოზირებისა და ანალიზის, ცვალებადობის გამოწვევი მიზეზების იდენტიფიკაციის, ეკოლოგიური რისკების შეფასებისა და პრევენციის გზების დასახვის უნარი. განუვითაროს პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები.
სწავლის შედეგები	<p>კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროება: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კვლევითი და სასერტიფიკაციო ლაბორატორიები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ადგილობრივი (მუნიციპალიტეტები) და რეგიონული სამმართველოები, აგრარული სექტორი, გარემოსდაცვით სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ერონული პარკები, ნაკრძალები, აღკვეთილები, ბოტანიკურ ბაღები, დაცულ ტერიტორიები, სხვადასხვა ტიპის მონიტორინგის სამსახურები, გარემოსდაცვითი ინსპექციები.</p> <p><b>სპეციალიზაცია - გამოყენებითი ეკოლოგია</b> - შეიძენს ფართო ცოდნას გარემოს ძირითადი დამაბინძურებლების ცოცხალ ორგანიზმებში შეღწევადობის გზებისა და ტოქსიკურობის, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების მართვის ტექნოლოგიების, ცოცხალ ორგანიზმებზე რადიაციის ზემოქმედების, დემოგრაფიული პროცესების და მასთან დაკავშირებული ურბანიზაციის, სასურსათო და ენერგეტიკული პრობლემების შესახებ;</p> <p>პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობის და საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ ექნება ეკოლოგიური ექსპერიმენტების დაგეგმვის, კვლევის მეთოდების შერჩევის, ეკოლოგიური კვლევისას მოსალოდნელი რისკების ობიექტური შეფასების, ლაბორატორიული ტექნიკის და აპარატურის გამოყენების უნარ-ჩვევები.</p> <p>შეეძლება კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი, შეფასება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების შეფასება და ადექვატური დასკვნების გაკეთება.</p> <p><b>სპეციალიზაცია - გარემოს დაცვა</b></p> <p>შეიძენს ფართო ცოდნას გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე მიმართულებების, პრობლემების, ეკოსისტემებზე კლიმატის გლობალური ცვლილებების გავლენის, გარემოში დამაბინძურებლების მოქმედებით მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური პროცესების კანონზომიერებების შესახებ; ბიომრავალფეროვნების შესახებ სახეობრივ და ეკოსისტემურ დონეზე.</p> <p>პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობის და სასწავლო/სავლე და საწარმოო პრაქტიკების გავლის შემდეგ ექნება, კვლევითი სამუშაოს დაგეგმვის, ანალიზის, კრიტიკული შეფასების უნარ-ჩვევები; უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ეკოსისტემების კონსერვაციის სტრატეგიული გზების დაგეგმვის და პროექტების მომზადების უნარი.</p> <p>შეეძლება ცოცხალ ორგანიზმთა მრავალფეროვნების მნიშვნელობის ანალიზი და გარემოში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესების კანონზომიერებების შესახებ სათანადო დასკვნის გაკეთება; ბუნებრივ ლანდშაფტებზე ანთროპოგენური ზემოქმედების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების პროგნოზირება და შეფასება.</p>
შეფასების წესი	საბოლოო შეფასება - 100 ქულა განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით A B C D E FX F ECTS - შეფასება

	<p>A ფრიადი - 91 ქულა და მეტი; B მალიან კარგი - 81-90 ქულა; C კარგი - 71-80 ქულა; D დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; E საკმარისი - 51-60 ქულა; FX ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა; F ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები: <b>ნინო ლომთაიძე</b>, ასოცირებული პროფესორი ტელ. (+995) 599 145375 ელ-ფოსტა. <a href="mailto:Lomtadze.nino@bsu.edu.ge">Lomtadze.nino@bsu.edu.ge</a> <b>ნანი გვარიშვილი</b>, ასოცირებული პროფესორი ტელ. (+995) 577 101464 ელ-ფოსტა. <a href="mailto:nana.gvarishvili@bsu.edu.ge">nana.gvarishvili@bsu.edu.ge</a></p>